საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *დავით გელაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5
პროფესიული აქტივობები	0	5
ქულათა ჯამი	83	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

დავით გელაშვილის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 341 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები დავით გელაშვილს ახასიათებენ როგორც კორექტულ, კეთილსინდისიერ, ღირსეულ და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოსამართლესა და პიროვნებას. რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ნებისმიერი, მათ შორის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დავით გელაშვილი არის ზუსტი და თანმიმდევრული. გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა განმარტა, რომ კეთილსინდისიერება მოიაზრებს წესიერად ცხოვრებას, მოვალეობების პატიოსნად შესრულებას, გავლენებისგან თავისუფლად ყოფნას და სხვ.

დავით გელაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები დავით გელაშვილს ახასიათებენ როგორც პრინციპულ, ობიექტურ, სამართლიან, მტკიცე და შეუვალ მოსამართლეს. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

დავით გელაშვილი მიიჩნევს, რომ ობიექტურია, რადგან გადაწყვეტილების მიღებისას, საქმის განხილვისას თუ მასალების გაცნობისას ცდილობს იყოს გავლენებისგან თავისუფალი, ყურადღება არ მიაქციოს იმ დეტალებს, რასაც

საქმისთვის მნიშვნელობა არ გააჩნია. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მის კანდიდატურას არ დაუჭერს მხარს, საბჭოს გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად მიიჩნევს რომ სხვებზე უკეთ წარმოაჩინა მისი პიროვნული და პროფესიული ღირსებები, ვინაიდან თავად შესაძლოა, კმაყოფილი იყოს საკუთარი გამოსვლითა და პრეზენტაციით, თუმცა გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს 15 წევრი, ამდენად თვითკმაყოფილებას საკუთარ სუბიექტურ აღქმას მიაწერს. ინსტიტუციის მიმართ ნდობის არსებობა მნიშვნელოვანია, თუმცა ამგვარი დამოკიდებულება შეუთავსებელია ობიექტურ შეფასებასთან, არ მეტყველებს საკუთარი პოზიციის გაბედულად დაცვის უნარზე.

დავით გელაშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, დავით გელაშვილი კორექტული, გაწონასწორებული, თავაზიანი და მეგობრული პიროვნებაა. კოლეგების შეფასებით, მას შეუძლია მართოს საკუთარი ემოციები. საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატი გამოირჩეოდა თავდაჭერილობით, კორექტულობითა და თავაზიანობით. კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ დავით გელაშვილის მიმართ დისციპლინური და/ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები დავით გელაშვილს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი ღირსეული რეპუტაციის გამო იმსახურებს საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემას.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

დავით გელაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: დავით გელაშვილმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. კერძოდ მან ისაუბრა ღირსების დაცვაზე, სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე და სხვ. კანდიდატმა იმსჯელა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის მიჯნის გავლების თავისებურებებზე და მოიხმო ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომლის შესწავლისა და გაანალიზების შემდგომ მის მიერ განსახილველი ერთ-ერთი საქმე გადააკვალიფიცირა წამებიდან არაადამიანურ მოპყრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ კითხვებს კანდიდატმა ამომწურავად უპასუხა, რიგ შემთხვევებში მისი მსჯელობა არ იყო დამაკმაყოფილებელი (მაგალითად, სამართალში ზნეობრივი ნორმებისა და მორალის მნიშვნელობის შესახებ).

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს ფოთის საქალაქო სასამართლოში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ დავით გელაშვილი სისტემატურად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, საქართველოსა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რასაც აქტიურად იყენებს საკუთარ გადაწყვეტილებებში.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. რეკომენდატორების თანახმად, კანდიდატს შესწევს ფაქტების სწორად შეფასებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.

აღსანიშნავია, რომ დავით გელაშვილის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 90,3%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და აზრის ლოგიკურად გადმოცემის უნარი. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ კითხვებზე პასუხები იყო ზოგადი ხასიათის, ბუნდოვანი და არ იკვეთებოდა საკითხის პირდაპირი გადაწყვეტა (მაგალითად, უკანონო მშენებლობის შემთხვევაში დემონტაჟის საჯარო ინტერესისა და შენობებიდან გამოსახლებული ბავშვების ინტერესთა დაპირისპირების საკითხთან დაკავშირებით).

წერის უნარი: დავით გელაშვილმა წარმოადგინა 2 სამართლებრივი დოკუმენტი, მათ შორის ერთი განაჩენი და ერთი სასამართლო გადაწყვეტილება ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ დავით გელაშვილი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ დავით გელაშვილი წერს გამართულად და უშეცდომოდ.

ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებების გარდა კანდიდატს არ წარმოუდგენია სხვა სახის სამართლებრივი ნაშრომი (სტატია, მონოგრაფია), რაც მომცემდა შესაძლებლობას უკეთ შემეფასებინა სამართლის წყაროებთან კანდიდატის მუშაობის კულტურა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ დავით გელაშვილი გამოირჩევა ლოგიკური და დამაჯერებელი საუბრის მანერით.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები დავით გელაშვილს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებას, რომელსაც გააჩნია გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატს აქვს საუკეთესო მენეჯერული თვისებები. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი ფლობს სასამართლო სხდომის სათანადო წარმართვის ჩვევებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დავით გელაშვილის მიერ

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის, ისევე როგორც გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს. ამასთან, კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (1026 დღე) დასრულებული აქვს 3514 საქმე, დღეში საშუალოდ 3.5 საქმემდე, რაც მიუთითებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და დროის სწორად დაგეგმვის უნარზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 2 სემინარში სასამართლო სხდომის მართვისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ან სხვა სახის პროფესიულ აქტივობას.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. დავით გელაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 83 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 17 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 17 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
   2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
   2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 2 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 0 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021